ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №3

2024 წლის 6 თებერვალი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ორი ერთეული ავტობუსის შპს „ონის სერვის ჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ორი ერთეული ავტობუსის:

- ISUZU NOVOCITI BUS - სახელმწიფო ნომერი WA662WA; საიდენტიფიკაციო ნომერი NNAMOBVLN02005130; გამოშვების წელი -2023; ფერი - მწვანე; ღირებულება -343500 ლარი;
- ISUZU NOVOCITI BUS - სახელმწიფო ნომერი WA663WA; საიდენტიფიკაციო ნომერი NNAMOBVLN02005129; გამოშვების წელი -2023; ფერი - მწვანე; ღირებულება -343500 ლარი;

შპს „ონის სერვის ჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგრბლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი